დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია

წევრები:

სოფიო გაგოშიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970698

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხონი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ხონი, სოლომონ მეორის ქ. N4
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khoni2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 06 მარტის N-8 26 0000281518 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07 და 08 აპრილი, 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხონი, სოლომონ მეორის ქ. N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხონი, სოლომონ მეორის ქ. N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხონი, სოლომონ მეორის ქ. N4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 06 მარტის N-8 26 0000281518 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 7 და 8 აპრილს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ქალაქ ხონის #2 საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი განხორციელდა მშვიდ, სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N	**სკოლის ფილოსოფია**	*ხარვეზი*

ინდიკატორი		
სტანდარტი N	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებული 13 თანამშრომლის უფლების ჩამორთმევის ცნობის, ხოლო, სკოლის ექიმის, 1 ტექნიკური პერსონალის და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის" ცნობების მოპოვება და პირად საქმეებში განთავსება.*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს ექიმის, რუსული ენის და სპეც მასწავლებლის კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*
ინდიკატორი N 3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში” 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო*

		დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" №2.1 დანართში ჩამოთვლილი მედიკამენტების შესყიდვა.
ინდიკატორი N 3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (მარტი, 2026 - მარტი, 2028), ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის შენობაში გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის მონტაჟი*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სასურველია, სკოლის დირექტორმა ჯგუფის შექმნისას, ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტშივე მოახდინოს პოზიციის შესაბამისი პიროვნებების იდენტიფიცირება.*
ინდიკატორი N.1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სასურველია, სკოლამ, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.*
ინდიკატორი N.1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*ვინაიდან წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მონიტორინგის ორი ალტერნატიული მიდგომაა განსაზღვრული, მიზანშეწონილია, დროის ეფექტურად გამოყენებისა და სპონტანური გადაწყვეტილებების თავიდან აცილების მიზნით, სკოლამ წინასწარ შეარჩიოს ის ერთი მიდგომა, რომელიც მის კონტექსტსა და საჭიროებებს საუკეთესოდ შეესაბამება.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	***რჩევა***

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*სასურველია, მიმდინარე პროცესების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სკოლის მიერ წარმოდგენილ პერსონალის განვითარების და მართვის ან სკოლის პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში გაწეროს და შესაბამისად შრომით ხელშეკრულებებშიც გაითვალისწინოს პოზიციის შესაბამისი ფუნქციების დროებითი გადანაწილება.*
ინდიკატორი N 3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობი მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს*	*მიზანშეწონილია, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სკოლის დირექტორის ბრძანება #2-105 (20/11/2020) და მის ნაცვლად დაწესებულებამ იმოქმედოს "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის #641 დადგენილების შესაბამისად.*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას*	• *არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სასურველია სკოლამ მიმართოს ხონის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, სკოლის წინ მდებარე სანიაღვრე არხის ცხაურით (ლითონის კონსტრუქციით) დაფარვისა და გადასასვლელ ხიდზე დამცავი ჯებირის მოწყობის მიზნით;* • *სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.*
ინდიკატორი N 3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სასურველია, სკოლის ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი შემოიღობოს და უზრუნველყოფილი იქნას ხელოვნური საფარით.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი N.4.2.1.6.	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს წერილობითი ფორმა, რომელის მეშვეობითაც დაადგენს საჭიროებებს, ასევე გათვალისწინებული იქნება ძლიერი და სუსტი მხარეები.*
ინდიკატორი N.4.2.2.3.	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მუდმივი მექანიზმი.*
ინდიკატორი N.4.2.3.2.	*სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს*	*სასურველია, სკოლამ გადახედოს საშტატო პოლიტიკას, იმოქმედოს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად, რათა სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი N.2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სასურველია, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლამ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშაოს მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების სისტემური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, **უცხოური ენები** კურიკულუმებშიც იყოს ასახული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. კერძოდ, წერილობით, კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებების მიწოდებისას, ერთ თემაზე, დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება მოსწავლეთათვის.* *სასურველია, სამომავლოდ **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** სასწავლო კურიკულუმში დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასებში შეიტანონ უფრო მეტი სასწავლო თემა (მეორე თემატური ბლოკიდან) საფეხურის დანარჩენი კლასების მსგავსად.*

ინდიკატორი N.2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ინგლისური ენა:*** *სასურველია, იყოს ჩასწორებული: მე 2 , მე - 3 და მე - 4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმებში მოცემულია ცნებად კულტურათა დიალოგი, რაც შემოდის მე - 5 კლასიდან.* *სასურველია,* ***უცხოური ენის*** *კურიკულუმებში კომპლექსური ტიპის დავალები, იდეები და პირობები მშობლიურ ენაზე იყოს წარმოდგენილი.* *სასურველია, დაწყებით საფეხურზე* ***მათემატიკის*** *პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით გადაიხედოს IV კლასის კურიკულუმზე. კერძოდ, IV კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები. ასევე, „მონაცემი, მონაცემთა ანალიზის“ შესაბამისი საკითხები დაკლასტერდეს ცალკე და შესაბამისად, დაკორექტირდეს სამიზნე ცნება/ქვეცნებების სვეტი.*
ინდიკატორი N.2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სასურველია მე - 5 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.*
ინდიკატორი N.2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*ეფექტურობის გაზრდისთვის, სასურველია,* ***ესთეტიკური აღზრდის*** *კურიკულუმში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია,* ***უცხოური ენებისთვის*** • *შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას;* • *შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული;* • *შემაჯამებლის დავალებები/ ტესტები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია,* ***მათემატიკის*** *სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც*

		ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*სასურველია **საბუნებისმეტყველო** კათედრამ მოახდინოს სასწავლო რესურსების პერიოდული განახლება და მათი დიფერენცირებული გამოყენება. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას რათა მოხდეს რესურსების ეფექტიანი ინტეგრირება.*
ინდიკატორი N.2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, **უცხოური ენის** კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული დამხამრე რესურსების ნუსხა, ჩანდეს როგორ ხდება სასწავლო რესურსების გაზიარება კათედრის წევრებს შორის, როგორ ხდება რესურსების შეფასება გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ და ხდება თუ არა რესურსების მოდიფიცირება საჭიროებისამებრ.* *ვინაიდან, **მათემატიკის** კურიკულუმში მითითებული, ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური, სასურველია, წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, **უცხოური ენების** კურიკულუმებშიც იყოს ასახული დიფერენცირებული სწვალების მიდგომები. კერძოდ, წერილობით , კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებების მიწოდებისას, ერთ თემაზე , დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება მოსწავლეთათვის.* *სასურველია, სამომავლოდ **სპორტის საბაზო საფეხურის** კლასების კურიკულუმში (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) შეტანილი იყოს უფრო მეტი სასწავლ თემა.*
ინდიკატორი N.2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია, მე - 7 კლასის **ინგლისური ენის** კურიკულუმში მოცემული ცნება ტექსტი, შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით.* *სასურველია, დასავლური ლიტერატურის კურიკულუმში კომპელქსური ბუნების ტიპის დავალებები უფრო დაკონკრეტებული და ჩაშლილი იყოს.*

		*სასურველია, **უცხოური ენის** კურიკულუმებში კომპლექსური ტიპის დავალები იდეები და პირობები მშობლიურ ენაზე იყოს წარმოდგენილი. სამომავლოდ, სასურველი იქნება **საგაზო საფეხურის სპორტის** კლასების კურიკულუმში (მე-7 და მე-9 კლასები) შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.*
ინდიკატორი N.2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სასურველია, მე - 9 კლასების **ინგლისური ენის** კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყო ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.*
ინდიკატორი N.2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*ეფექტურობის გაზრდისთვის, სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, **უცხოური ენებისთვის*** *• შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას;* *• შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული;* *• შემაჯამებლის დავალებები/ ტესტები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია, **მათემატიკის** სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*სასურველია **საბუნებისმეტყველო** კათედრამ მოახდინოს სასწავლო რესურსების პერიოდული განახლება და მათი დიფერენცირებული გამოყენება. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას რათა მოხდეს რესურსების ეფექტიანი ინტეგრირება.*

ინდიკატორი N.2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, **უცხოური ენის** კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული დამხამრე რესურსების ნუსხა, ჩანდეს როგორ ხდება სასწავლო რესურსების გაზიარება კათედრის წევრებს შორის, როგორ ხდება რესურსების შეფასება გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ და ხდება თუ არა რესურსების მოდიფიცირება საჭიროებისამებრ.* *ვინაიდან, **მათემატიკის** კურიკულუმში მითითებული, ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური, სასურველია, წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.*
ინდიკატორი N.2.2.2.3.		*სასურველია, მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა და გამდიდრება დამატებითი ინვენტარით.* *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, **უცხოური ენები** კურიკულუმებშიც იყოს ასახული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. კერძოდ, წერილობით , კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებების მიწოდებისას, ერთ თემაზე, დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება მოსწავლეთათვის. არჩევითი საგნის შემთხვევაშიც (დასავლურ ლიტერატურა) არსებობდეს პროექტის იდეა.*
ინდიკატორი N.2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია, რუსული ენა: მე - 11 და მე- 12 კლასების და ინგლისური ენის კურიკულუმში , რესურსების ნაწილში მოცემული იყოს სახელმძღვანელოს მასალის კონკრეტული გევრდები თემებთან მიმართებაში, ასევე ციფრუოი სხვა რესურსები, საათების რაოდენობა კი ყველა კურიკულუმშია გასათვალისწინებელი.* *სასურველია, დასავლური ლიტერატურის კურიკულუმში კომპელქსური ბუნების ტიპის დავალებები უფრო დაკონკრეტებული და ჩაშლილი იყოს.* *სასურველია, **უცხოური ენის** კურიკულუმებში კომპლექსური ტიპის დავალებ იდეები და პირობები მშობლიურ ენაზე იყოს წარმოდგენილი*

ინდიკატორი N.2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სასურველია, დასავლური ლიტერატურის კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი;* *სასურველია, მე - 11 და მე- 12 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმში რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია,* ***უცხოური ენებისთვის*** • *შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას;* • *შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული;* • *შემაჯამებლის დავალებები/ტესტები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია,* ***მათემატიკის*** *სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*სასურველია,* ***საბუნებისმეტყველო*** *კათედრამ მოახდინოს სასწავლო რესურსების პერიოდული განახლება და მათი დიფერენცირებული გამოყენება. ასევე, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას რათა მოხდეს რესურსების ეფექტიანი ინტეგრირება.*
ინდიკატორი N.2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია,* ***უცხოური ენის*** *კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული დამხამრე რესურსების ნუსხა, ჩანდეს როგორ ხდება სასწავლო რესურსების გაზიარება კათედრის წევრებს შორის, როგორ ხდება რესურსების შეფასება გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ და ხდება თუ არა რესურსების მოდიფიცირება საჭიროებისამებრ.* *ვინაიდან,* ***მათემატიკის*** *კურიკულუმში მითითებული, ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური,*

		სასურველია, წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.
ინდიკატორი N.2.2.2.3.		*სასურველია მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა და გამდიდრება დამატებითი ინვენტარით.* *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში. შედეგად, ინდიკატორები: 3.1.2.3; 3.1.2.4 და 3.4.1.2. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორი 3.5.1.4. გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში.
ცალკეულ ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინდიკატორები: 3.3.1.1; 3.3.1.2; 3.4.1.1; 3.5.1.3; 3.6.2.1. და 3.6.3.5. გადავიდა სრულ შესაბამისობაში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია 3.3. და 3.6. კომპონენტების სრული შესაბამისობა სტანდარტთან.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი, ტრადიციების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი პიროვნების აღზრდას. სკოლის ხედვით კი, მისი კურსდამთავრებულები უახლოესი ათწლეულის პერიოდში შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ჩართვას და თავს დაიმკვიდრებენ ეროვნულ და მსოფლიო შრომით ბაზარზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიით მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული, პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ხედვით განსაზღვრული 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციურით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდის ხელშეწყობას კი გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, იმსჯელა, გაანალიზა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია.
რჩევა: სასურველია, სკოლის დირექტორმა, ჯგუფის შექნისას, ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტშივე მოახდინოს პოზიციის შესაბამისი პიროვნებების იდენტიფიცირება.
ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრის და მათგან უკუკავშირის მიღების დამადასტურებელი ოქმი. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ სკოლის მიერ შემუსავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. განთავსებულია სკოლის ფოიეში და ვებ გვერდზე.
ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება "სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა).
ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ფილოსოფია;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება 1/კ - 30. 09/10/2025;*
- *მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების ოქმები;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 27 დეკემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით N02-125 დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია". წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სკოლა დაინტერესებულ მხარეებს რთავს შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების ეტაპებზე. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შვიდ წლიანი (2025-2032) სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს შვიდ მსხვილ მიზანს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2025-2026) სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან (2025-2032). მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ითვალისწინებს სტრტეგიულ მიზნებს და ამოცანებს, ეყრდნობა განვლილი სასწავლო წლის ანალიზს. სასწავლო წლის განმავლობაში შუალედურად ხორციელდება სამოქმედო გეგმის რევიზია და შეფასება. შეფასების შედეგები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლას მიეცა **რჩევა,** მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ბრძანება N2-125, 27/12//2024;*
- *სტრატეგიული გეგმა (2025-2032);*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N2, 10/09/2025;*
- *სამოქმედო გეგმა 2025-2026.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ორ ალტერნატიულ გზას.

რჩევა: ვინაიდან წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მონიტორინგის ორი ალტერნატიული მიდგომაა განსაზღვრული, მიზანშეწონილია, დროის ეფექტურად გამოყენებისა და სპონტანური გადაწყვეტილებების თავიდან აცილების მიზნით, სკოლამ წინასწარ შეარჩიოს ის ერთი მიდგომა, რომელიც მის კონტექსტსა და საჭიროებებს საუკეთესოდ შეესაბამება.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შდგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ბრძანება N2-125, 27/12//2024.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში დაინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

მასწავლებლის ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და 7 საგნობრივი კათედრა.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობებით.

მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად.
კათედრები ფუნქციონირებენ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული.
ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით და სასკოლო სასწავლო გეგმის შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატიორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *კათედრის დებულება ბრძ. N2-92, 04/12/23.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შინაგანაწესით დადგენილი აქვს პერსონალის დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და სხვა.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება მასწავლებლის შერჩევის, მისი სოციალიზაციის, პროფესიული განვითარების, მოტივაციის ამაღლებისა და თანამშრომლობის შეწყვეტის პირობები. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის მართვას სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო). მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია სკოლის შიდა ნორმატიული აქტები: სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ძირითადი პირობები, რაც დასაქმებულთა მართვას და მათი შრომითი უფლებების დაცვას უწყობს ხელს. დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა თანამშრომელზე. მასწავლებლის არყოფნისას საათები ნაწილდება იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმებას. დირექცია დასაქმებულებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი ტრენინგებისა თუ ვებინარების შესახებ და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას. აღნიშნული მიდგომა, ასევე უზრუნველყოფს ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას.

რჩევა: სასურველია, მიმდინარე პროცესების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სკოლის მიერ წარმოდგენილ პერსონალის განვითარების და მართვის ან სკოლის პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში გაწეროს და შესაბამისად შრომით ხელშეკრულებებშიც გაითვალისწინოს პოზიციის შესაბამისი ფუნქციების დროებითი გადანაწილება.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით - სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად; სკოლის პერსონალთან გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. უმეტეს პერსონალთან წარმოდგენილია ცნობები „ნასამართლობის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ სკოლის 14 თანამშრომლის პირად საქმეში არარის წარმოდგენილი ცნობები „უფლების ჩამორთმევის“ შესახებ. სკოლის ექიმის და 1 ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეში არ იყო წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოთხსენებული არც ერთი ცნობა.

ხარვეზი: სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული იმ აუცილებელ წარმოსადგენ დოკუმენტთა და ცნობათა ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგნოს დასაქმებულმა; 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ სკოლის 13 თანამშრომლის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი ცნობები „უფლების ჩამორთმევის“ შესახებ; სკოლის ექიმის და იდენტიფიცირებული 1 ტექნიკური პერსონალის და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტის პირადი საქმეში არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის შესახებ”.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებული 13 თანამშრომლის, უფლების ჩამორთმევის ცნობის მოპოვებას და პირად საქმეებში განთავსებას, ხოლო, სკოლის ექიმის, 1 ტექნიკური პერსონალის და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის" ცნობების მოპოვებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026). ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებული 13 თანამშრომლის, უფლების ჩამორთმევის ცნობის, ხოლო, სკოლის ექიმის, 1 ტექნიკური პერსონალის და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების „სქესობრივი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის" ცნობების მოპოვება და პირად საქმეებში განთავსება.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 53 თანამშრომელი, მათ შორის 37 მასწავლებელია, ამათგან 1 მენტორია 3 კი წამყვანი.
ვიზიტის პერიოდში, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესწავლილი იქნა პერსონალის მონაცემები, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის ექიმად მუშაობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა)„პედიატრია“; ბ)„საოჯახო მედიცინა“; გ)„ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.
სკოლაში დასაქმებულ ექიმს აქვს დიპლომი კვალიფიკაციით “სამკურნალო საქმე” და არ აქვს წარმოდგენილი სახელმწიფო სერტიფიკატი. სკოლაში დასაქმებული რუსული ენის მასწავლებელს არ აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. მისი საათობრივი დატვირთვა -12 საათი, არც მოწვეული მასწავლებლის საათობრივ დატვირთვის შესაბამისია. სკოლაში დასაქმებული ოთხი სპეციალური მასწავლებლიდან სამი უფროსის სტატუსის მქონეა, ხოლო ერთი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების მიზნით სკოლას წარმოებული აქვს კომუნიკაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტის ეტაპისთვის სასურველი შედეგი არ იყო დამდგარი.
ხარვეზი: სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მას არ აქვს წარმოდგენილი დამოუკიდებლად საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.
სკოლის რუსული ენის მასწავლებელს და ერთ სპეციალურ მასწავლებელს არ უდასტურდებათ „მასწავლებლის“ კვალიფიკაცია.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, კვალიფიციური ექიმის დასაქმებას, რუსული ენის და სპეც მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის, რუსული ენის და სპეც.მასწავლებლის კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის მიმდინარეობისას დაკვირვებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნ დური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში შექმნილ კომისიებში/სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების სხვა დასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები. რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან, ერთმანეთს გამოცდი ლებას უზიარებენ, მსჯელობენ და შეიმუშავებენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტებს. მასწავლებლები და მოსწავლეები წარმატებულად თანამშრომლობენ სხვადასხვა კლუბებსა თუ პროექტებში.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შენაგანაწესით დადგენილია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის დაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის საქმიანობის შეფასების და მათი მოტივაციის ამაღლების შიდა ინსტრუქცია. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს ოქმი N2. 10/09/2025;*
- *შინაგანაწესი;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*

• *შრომითი ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: მოქნილობა; სწავლის მხარდაჭერა; შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანაა დასაქმებულთა მუდმივი განვითარება. მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით მათი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; პროფესიული განვითარების დაგეგმვა, პროცესის ორგანიზება და მართვა.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს დასაქმებულთა მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში და დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებსა და ტრენინგებში, რაც დადასტურებულია შესაბამისი სერტიფიკატებითა და ცნობებით და მიუთითებს ორგანიზაციის მხრიდან პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობაზე.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები და სკოლის ვალდებულებები ამ მიმართულოებით. ადაპტაციის ეტაპებია: მოლოდინები, შეხვედრა და ოჯახის წევრობა. სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება დოკუმენტის შესაბამისად. ახალ თანამშრომელს აცნობენ მუშაობის სპეციფიკას, სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებს და სკოლის შინაგანაწესს.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. აღნიშნული მხარდაჭერა პირდაპირ კავშირშია თანამშომლების მოტივაციის ამაღლებასა და სკოლის საერთო წარმატებასთან. სკოლის პერსონალის წახალისების ფორმები ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს ოქმი N2. 10/09/2025;*
- *შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არ ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. დაწესებულებამ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არ იყო დაწესებულების მხრიდან დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისად წარმოდგენილი ვიზიტის პერიოდში.

სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის 20 ნოემბერს სკოლის დირექტორის #2-105 ბრძანება ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს ამჟამად უკვე ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

(დადგენილება #241 23/05/2019). სკოლას მიეცა **რჩევა**: სასურველია, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სკოლის დირექტორის ბრძანება #2-105 (20/11/2020) და მის ნაცვლად დაწესებულებამ იმოქმედოს "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის #641 დადგენილების შესაბამისად.

ხარვეზი: სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სკოლის დირექტორის ბრძანებით MES 1 25 0001867304 დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტი მიიჩნია რელევანტურად.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, არ არის იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ხარვეზი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სკოლის დირექტორის ბრძანებით MES 1 25 0001867304 დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტი მიიჩნია რელევანტურად.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებამ წარმოადგინა და სკოლის ვებ გვერდზე ატვირთულია „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში განცხადებებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს. დისციპლინური წარმოების წესს, კონკურსის შედეგების გასაჩივრებას და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ბრძანება #2-105 (20/11/2020);*
- *სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;*
- *სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა

შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და სხვა. ასევე, სკოლა ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ჯგუფში შექმნილ დახურულ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას. ინფორმაცია სასკოლო სიახლეებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ თავსდება სკოლაში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტის - მშობელი, მოსწავლე, მასწავლებლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა განთავსებულია 1 სამსართულიან შენობაში. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე საავარიო გასასვლელი. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სკოლას აქვს შინაგანაწესი.

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 20 მარტის **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.**

სკოლის შენობის წინ ცენტრალურ ქუჩას და ტროტუარს შორის მდებარეობს სანიაღვრე არხი, რომელიც არ არის დაცული ცხაურით. ასევე, მასზე გადასავლელ ხიდს არ აქვს ჯებირი.

რჩევა: არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სასურველია სკოლამ მიმართოს ხონის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, სკოლის წინ მდებარე სანიაღვრე არხის ცხაურით (ლითონის კონსტრუქციით) დაფარვისა და გადასასვლელ ხიდზე დამცავი ჯებირის მოწყობის მიზნით.

სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

სკოლამ წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე სპეციალისტის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

ხარვეზი: სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2026 წლის 25 მარტს გაცემული ***დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ****, რომლის თანახმად სკოლის სასწავლო კორპუსის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის.*
დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის 14 აპრილს ***შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.***
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიჩნია რელევანტურად.

ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის ექიმის კაბინეტი, რომელსაც შესასვლელი აქვს მხოლოდ სკოლის
ეზოდან. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკა ცია არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესთან'' და მას არ აქვს დამოუკიდებლად საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

ხარვეზი: სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სკოლა არ აწარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" №2.1 დანართში ჩამოთვლილი მედიკამენტების შესყიდვას.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, კვალიფიციური ექიმის დასაქმებას და მედიკამენტების შესყიდვის განხორციელებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში" 2026 წლის 20 აპრილს ერთობლივი №58/ნ/№14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" №2.1 დანართში ჩამოთვლილი მედიკამენტების შესყიდვა.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ მანდატურები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს მორიგე ან/და დარაჯი. სკოლის შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებულია 3 ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრზე 7 კამერა. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112"-ის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლაში

განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები და სამოქმედო გეგმა. მშობლებმა და მოსწავლეებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის შენობაში სამივე სართულზე განთავსებულია 3-3 სველი წერტილი 1-1 ხელსაბანით. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. სკოლის სანიტარულ ჰიგიენური კვანძები აღჭურვილია სათანადო ჰიგიენის საშუალებებით. სკოლას მიეწოდება სასმელად ვარგისი წყალი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად პროცესების წარმართვას.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი ლიცენზირებულია, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც

პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და გამართულ მუშაობაზე. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესახებ. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. 20/03/2026;*
- *წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე სპეციალისტის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმები;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. ბრძ. N1კ-08, 21.03.2025;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა. ბრძ. N 1/კ-08. 21/03/2025;*
- *დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმებული)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის სამსართულიანი შენობა, მდებარეობს ქალაქ ხონში, საკადასტრო კოდი 37.07.38.417. 4400.00 კვ.მ. ფართობზე. სკოლას აღნიშნული ფართი და მასზე განთავსებული სასწავლო შენობა და საქვაბე სარგებლობაში გადაცემული აქვს მისი არსებობის ვადით. პირველ სართულზე მდებარეობს სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, სპორტ დარბაზი, და რამდენიმე საკლასო ოთახი. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერული კლასები, სააქტო დარბაზი, 2 რესურს ოთახი და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და სხვა საჭირო ინვენტარი. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი (რომელიც ვიზიტის ეტაპისთვის არ იყო კეთილმოწყობილი) და შესაბამისი სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბარატორიის ინვენტარი დაცულ ოთახში და აინშტაინის ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე ოთახში, შენობის მესამე სართულზე. ამავე სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკა, სკოლის მუზეუმი და სახელოვნებო ოთახი. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა.
რჩევა: სასურველია, სკოლის ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი შემოიღობოს და უზრუნველყოფილი იქნას ხელოვნური საფარით.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესები, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისთვის. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია. იგი მდებარეობს შენობის მესამე სართულზე. ბიბლიოთეკაში აღრიცხულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული (2450 ერთეული) და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, დამოწმებული აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში მითითებულია, რომ სკოლა სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით „Open Biblio" და ბიბლიოთეკაში განთავსებულია სმარტ დაფა, რაც არ შეესაბამება რეალობას.

ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" არ არის სკოლის მიერ მიწოდებული სერვისების შესაბამისი.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც ცვლილებები განახორციელა სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 მაისის MES 6 26 0000549564 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი წესი, სკოლის მიერ მიწოდებული საბიბლიოთეკო სერვისების შესაბამისია.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი და სპორტული დარბაზი.

სკოლის პირველ სართულზე მოწყობილ სამედიცინო ოთახში არის ასასვლელი რამდენიმე კიბე და არა არის მოწყობილი პანდუსი. სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები განთავსებულია მეორე და მესამე სართულებზე. ამრიგად, შენობაში ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი.

ხარვეზი: სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირისთვის არ არის ხელმისაწვდომი პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო კაბინეტი. სკოლის შენობაში არ არის ლიფტი ან შიდა პანდუსი.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, შენობაში კიბეებზე გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის მონტაჟს გეგმავს 2 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **ნაწილობრივ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (მარტი, 2026 - მარტი, 2028), ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის შენობაში გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის მონტაჟი.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს დაცული შიდა ეზო, სადაც იმართება სხვადასხვა გასართობ- გამაჯანსაღებელი აქტივობები. სკოლა ღინისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. აქედან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ინვენტარიზაციის აქტი;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას 2025 წელს მიღებული 38 ახალი პორტატული კომპიუტერი. გარდა ამისა სკოლის ბალანსზე ირიცხება 18 ლეპტოპი და 3 პერსონალური კომპიუტერი და 4 პროექტორი და 4 პრინტერი. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. სკოლაში არის Wi-Fi. სკოლას აქვს მოწყობილი 2 კომპიუტერული კლასი. მათ შორის ერთი ეგრეთ წოდებული „ჯეოსელის'' კლასი, რომელიც ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, კლასში დამონტაჟებულია ინტერაქტიული სმარტდაფა და თოთხმეტი მონიტორი. ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის სკოლის ყველა კაბნინეტი (დირექცია, საქმისმწარმოება, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, სამედიცინო, კომპიუტერული კლასი) უზრუნველყოფილია კომპიუტერით და სხვა საჭირო მოწყობილობით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს სკლაში საგაკვეთილო თუ არასაგაკვეთილო, საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი;*
- *ინვენტარიზაციის ოქმი.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული სკოლის მისამართი არ შეესაბამება სკოლის არსებულ რეალობას და ელექტრონული დოკუმენტბრუნვა არ არის გათვალისწინებული.

ხარვეზი: სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი და სკოლის რეალური დოკუმენტბრუნვის ამსახველი.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელშიც ცვლილებები განახორციელა სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 მაისის MES 6 26 0000549717 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი წესი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი და სკოლის რეალური დოკუმენტბრუნვის ამსახველია. მასში, ასევე, მითითებულია სკოლის ზუსტი მისამართი და გათვალისწინებულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, რომელსაც სკოლა აწარმოებს.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი). ასევე, იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გვერდს სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფებს სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ერთიანი საქმისწარმოების წესი N2-77, 23/10/2023წ;*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. ასევე, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც აქვს თავისი გვერდი და დაინტერესებულ პირს აქვს კომენტარის / წერილის დაწერის საშუალება. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდის გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ მოცემული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, დახურულ ჯგუფებს, ელექტრონულ ფოსტას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის პოლიტიკის" დოკუმენტის თანახმად, სკოლა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა აზრის გათვალისწინება მოხდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებას, სადაც მოსწავლეები აქტიური მონაწილეები არიან და მათი ხმა რეალურად აისახება სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებიდან ატვირთულია მხოლოდ სკოლის მოქმედი შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი), გასაჩივრების მექანიზმები და საკონტაქტო ინფორმაცია. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია სტრატეგიული (2025-2032) და შესაბამისად სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ/ვერ იქნება განთავსებული სკოლის ვებგვერდზე.

ხარვეზი: ვებ გვერდზე არ არის განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ასევე, ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, მან სკოლის ვებ გვერდზე ასახა პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ასევე, ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფმა, კიდევ ერთხელ, შეისწავლა სკოლის ვებ გვერდი და მიიჩნია, რომ მასზე განთავსებულია ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის პოლიტიკა***
- *სკოლის ვებ გვერდი www.skolebi.emis.ge*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას დამატებით ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ თანხას და მასწავლებლის სტატუსის შესაბამის დანამატს. სკოლას აქვს დამატებითი შემოსავლები იჯარის და წრეობრივი მუშაობის საფუძველზე. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვილებები, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმებით. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური რესურსი. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ბიუჯეტი 2026;*
- *შესყიდვების გეგმა;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომნის ოქმი #6;*
- *იჯარის ხელშეკრულებები;*
- *ფინანსური ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით (სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2019 წლის 29 აგვისტოს N3 სხდომის ოქმით). აღნიშნული დოკუმენტი ორიენტირებულია სკოლაში ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი საგანმანათლებლო

გარემოს შექმნაზე. შინაგანაწესში მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. დარეგულირებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. მოსწავლის უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. უზრუნველყოფილია კონფიდენციალობა. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომლის საქმიანობა მიმართულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების ხელშეწყობისა და მათი ინტერესების დაცვაზე. მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, რადგან მათი უფლებები დაცულია. იცნობენ შინაგანაწესს და იციან, ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

ხონის N2 საჯარო სკოლაში დამრიგებელი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდამარეგულირებელ დოკუმენტებს,მათ უფლებებს,ქცევის წესებს,სკოლის შინაგანაწესს. სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები გამჭირვალეა დაგაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. ხელმისაწვდომია როგორც სკოლის ვებგვერდზე, ასევე გამოფენილია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, უფლებების დაცვის სასკოლო მექანიზმები არის საჯარო, გასაგები და გაზიარებული ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ექსპერტთა მიერ მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ მოსწავლეები არიან ინფორმირებულნი სასკოლო რეგულაციებზე, იცნობენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება გამჭირვალე, მკაფიო და სამართლებრივად გამართულია, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს: ხელშეკრულების ნომერსა და თარიღს, მხარეთა იდენტიფიკაციის მონაცემებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის პირობებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სასწავლო და დასვენების დროს, უქმე დღეებს,

პასუხისმგებლობის საკითხებს, დამატებით პირობებსა და შინაგანაწესის გაცნობის დადასტურებას.შეთანხმებას ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *დამრიგებლის დებულება;*
- *მშობელთა კრების ოქმი;*
- *სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო და გამჭირვალე კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის პროცედურებს.მოსწავლეთა მიღება ხდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს, საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალანდარი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანნონმდებლობით შესაბამისი, კონფიდენციალური, გამჭირვალე და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- შინაგანაწესი;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- https://www.facebook.com/khonis.meore.sajaro.sk.ola

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლის, მობილობის წესით გადმოსული და ეროვნებით არაქართველი მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ადაპტაციის წესი“, რომლის ფარგლებში მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ხელმისაწვდომი ფორმით აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოქმედი რეგულაციების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყებისთანავე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; „მოსწავლის ადაპტაციის წესი“ ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალიზაციას, ტრანზიციას, ჩართულობასა და მობილობის პროცესის მხარდაჭერას. მოსწავლის წარმატებით ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დირექციის, მასწავლებლის, დამრიგებლის პოზიტიური დამოკიდებულება. დამრიგებელი თავდაპირველად აცნობს თანაკლასელებს, მასწავლებლებს, აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, ქცევის წესებს, უზრუნველყოფს სასკოლო გარემოს (სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა, საპირფარეშო და სხვ.) დათვალიერებას. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. ის ხვდება მშობელს, ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის თავისებურებებსა თუ მიღწევებზე. აკვირდება საგაკვეთილო პროცესზე და ხელს უწყობს მათ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე სკოლიდან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევები გაუმჯობესების მიზნით.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით,მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,რომ სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას აკადემიური მოსწრების,ექსტერნის,საშემოდგომო გამოცდის,შეფასების კრიტერიუმის შესახებ.აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საკონსულტაციო და რემედიაციულ მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, ხოლო ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობლების დროულ ინფორმირებას აკადემიური პროგრესის შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უფლებების რეალიზების მიზნით, უზრუნველყოფს საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას და დამრიგებლების მეშვეობით აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უზიარებს სასკოლო სასწავლო გეგმასთან განსაზღვრულ რეგულაციებს,მოსწავლეების გაცდენების, შემაჯამებლების,შემაჯამებელი

დავალებების აღდგენის და სხვ. წესის შესახებ. სსსმ მოსწავლეებთან საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალების ადაპტირებას მათი შესაძლებლობებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სპეცმასწავლებლები წინასწარი შედგენილი გრაფიკის საშუალებით მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან რესურს ოთახში.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას კვალიფიციური პერსონალის მონაწილეობით; მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელებულია სხვადასხვა პროექტები და აქტივობები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები- მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა და დაინტერესებული პირებისგან ზეპირი უკუკავშირის მიღების მექანიზმები, რაც გათვალისწინებულია სასკოლო მომსახურების გაუმჯობესების პროცესში.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს წერილობითი ფორმა, რომელის მეშვეობითაც დაადგენს საჭიროებებს, ასევე გათვალისწინებული იქნება ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი;*
- *დამრიგებლის დებულება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *ხარჯთაღრიცხვა;*
- *ტრანზიცია.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლას აქვს უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმი. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრა ჩატარებული აქვთ პროკურატურასა, თავდაცვის სამინისტროს და ქუთაისი კადეტთა სასწავლებლის წარმომადგენლებს.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებლები, თვითმართვერლობის წევრები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, დირექციასა და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიურების საფუძველზე დადგინდა,რომ სკოლაში მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომართულებით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში არ გამოიყენება კონკრეტული მექანიზმი,რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მიზნობრივ გამოყენებას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მუდმივი მექანიზმი.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამრიგებლების პორტფოლიო;*
- *კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სკოლას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2025 წ;*
- *პროექტის ანგარიში.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები,

სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება, რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის წარმომადგენლებთან,მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული,ინკლუზიური მიდგომების შესახებ.სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდგეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 3 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. თითოეული სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. მოსწავლეთა ინდივიდუალური პროფილების ანალიზით იკვეთება, რომ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე, ორ მოსწავლეს ესაჭიროება მეტყველების თერაპევტის, ერთს - ფსიქოლოგის მომსახურება. „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესის“ და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას მიეცა **რჩევა** - გადახედოს საშტატო პოლიტიკას, იმოქმედოს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად, რათა სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *ისგ ოქმები;*
- *სსმ მოსწავლის შეფასება.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან თანხმობის საფუძველზე. სკოლას მიღებული აქვს თანხმობები ფართის გაიჯარების თაობაზე.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, რაც დასტურდება მომსახურების მიმღები მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასახულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მომსახურების მიწოდების პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. შრომითი ხელშეკრულებებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები.

ინდიკატორი 4.2.4.3. დამაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გახანგრძლივებული ჯგუფის ხელშეკრულება;*
- *წრის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *სპორდარბაზის იჯარის ხელშეკრულება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1	☒ შეესაბამება

კურიკულუმის შემუშავება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და მოიცავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებს. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ საგნობრივ კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების დაგეგმვას, გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის პროფესიული საზოგადოების ხედვები და პრაქტიკული გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, თანამშრომლობასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივი კათედრები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა სისტემური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესი.

რჩევა: სასურველია, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლამ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშაოს მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების სისტემური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის პრინციპს. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სკოლის საქმიანობის შესახებ. სკოლაში კურიკულუმის გაცნობა ხორციელდება მშობელთა კრებებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კათედრების ოქმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი;*
- *სამურვეო საბჭოს ოქმი.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპების საფუძველზე და წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების სისტემურ გზას. **„ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია"**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს მოსწავლეების მიღწევების ანალიზს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ

	კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გაითვალიწინონ მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და შესაძლებლობები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე მხოლოდ ორიენტრებულია მოსწვლეთა შედეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების (ინგლისური ენა , რუსული ენა , დასავლური ლიტეატურა - მე - 11 კლ) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის, დაგეგმავასა და განვითარებაზე მორგებულ გზამკვლევს. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. ამის დასტურად შეიძლება დასახელდეს წარმოდგენილი გრძელვადიანი პროექტი ,, ფესტივალები”- მე- 9 კლასში. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: მასწავლებლება ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა სასურველია, კურიკულუმებშიც იყოს ასახული დიფერენცირებული სწვალების *მიდგომები. კერძოდ, წერილობით , კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებების მიწოდებისას , ერთ თემაზე , დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება მოსწავლეთათვის.* სასურველია, ასევე ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ.

	სასურველია, არჩევითი საგნის შემთხვევაშიც (დასავლურ ლიტერატურა) არსებობდეს პროექტის იდეა.
ესთეტიკური აღზრდა	ესტეთიკური აღზრდის კათედრის წევრების მიერ, სამივე საფეხურზე (მუსიკა, ხელოვნება, პროექტული სწავლება) შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია და გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლის განვითარებას უწყობს ხელს. კურიკულუმების შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. აძლევს არჩევანის საშუალებას, ზოგჯერ სთავაზობს შემოქმედებითი დავალების რამდენიმე ვარიანტს, მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, კომპლექსური დავალების ფარგლებში, მატერიალური სახით წარმოადგენენ თუ ელექტრონული სახით პროდუქტს. ეს პროცესები იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნის კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მათემატიკის სტანდარტის მიზნების შესაბამისად და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სკოლაში შემუშავებულ კურიკულუმებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი ისეთი სასწავლო მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე. ეს ხელს უწყობს ცოდნის უფრო ღრმა და პრაქტიკულ გააზრებას. ასევე, ასეთი მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალურად განვითარდნენ, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი იდეები და ჩამოუყალიბდეთ ის მნიშვნელოვანი უნარები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული როგორც სწავლის საბოლოო შედეგები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია მოსწავლის

	ინტერესებსა და მათ საჭიროებებს მორგებული სასწავლო თემები, ითვალისწინებს სკოლის შესაძლებლობებსა და ინფრასტრუქტურას. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუსას პედაგოგებმა მიიღეს რჩევაც. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა :** სასურველი იქნება, სამომავლოდ სასწავლო კურიკულუმში **დაწყებითი საფეხურის** მე-5 და მე-6 კლასებში შეიტანონ უფრო მეტი სასწავლო თემა (მეორე თემატური ბლოკიდან) საფეხურის დანარჩენი კლასების მსგავსად. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნება **საბაზო საფეხურის** კლასების კურიკულუმში (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) შეტანილი იყოს უფრო მეტი სასწავლო თემა.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებები. **რჩევა:**სასურველია, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იყოს მკაფიოდ ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს მათ თემასთან შესაბამისობას და ლოგიკურ კავშირს.

	ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. თითოეულ სავალდებულო თემაში გაწერილი აქვთ გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა განმარტეს, შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში, რომელ ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუირების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითარონ გლობალური ფუნქციური უნარები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას., შესაბამისად კურიკულუმი ხელს უწყობს უცხოური ენების პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ამას მოწმობს მრავლად შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებების ნიმუშები: მაგ: **ინგლისური ენა** , დაწყებითი საფხეური, ,, ჩემი ფერები" , პოსტერი თემაზე - ,, რას ვხედავ ჩემს სასკოლო ჩანთში". ,, ჩემი საყვარელი სათამაშო", პოსტერი :,, ჩემს შესახებ", ,, ჩემი ერთი დღე ზოპარკში. საბაზო საფეხური: ესე თინეიჯერების პრობლემების შესახებ, პოსტერი ,, ჩემი საყავრელი ცნობილი წყვილი, ,, ჩემი ვირტუალური მოგზაურობა შოტლანდიაში". რეკლამა : ,, ეწვიეთ ნაკრძალს", პოსტერი ,, საუკუნის მიღწევები" . საშუალო საფეხური: პრეზენტაცია ინგლისის, შოტლანდიის, უელსის და ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ. ესე - ,, გენდერული სტერეოტიპები", CV - ის შექმნა და (როლური თამაში) გასაუბრების იმიტაცია". **რუსული ენა: დ**აწყებითი საფეხური: ილუსტრაციები ანბანზე, მეგობრული წერილი ოჯახის წევრების შესახებ, " ზღაპარი თემაზე : ,, ჩემი შინაური ცხოველი". საბაზო საფეხური: ,, მე და ჩემი მეგობარი",,

	ჩემი არდადეგები", ,, ახალი წელი საქასრთველოში", ,, ჯანსაღი ცხოვრების წესი". საშუალო საფეხური: ,, მე და ჩემი პროფესია", ,, ისტორიული ცნობარი", ,, კოსმოსი". **დასავლური ლიტერატურა: შემოქმედებითი პროდუქტის იდეები:** ესე: ,, ხევისბერი გოჩა და გამზრდელი". სპექტაკლის შესახებ დისკუსიის მოწყობა. სკოლა ყურადღებას უთმობს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის მრავლფეროვან სტილს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე ტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** რუსული ენა : სასურველია მე - 11 და მე- 12 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს სახელმძღვანელოს მასალის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში, ასევე ციფრული სხვა რესურსები, საათების რაოდენობა კი ყველა კურიკულუმშია გასათვალისწინებელი. **ინგლისური ენა:** სასურველია იყოს ჩასწორებული: მე 2 , მე - 3 და მე - 4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმებში მოცემუოია ცნებად კულტურათა დიალოგი, რაც შემოდის მე - 5 კლასიდან. სასურველია შემოთავაზებული შემოქმედებითი პროდუქტის იდეები იყოს ჩაშლილი, როგორ აწვდით მოსწავლეს. მე - 7 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში მოცემულია ცნება ტექსტი, რაც უნდა იყოს შეცვლილი ცნება ჟანრით. სასურველია დასავლური ლიტერატურის კურიკულუმში კომპელქსური ბუნების ტიპის დავალებები უფრო დაკონკრეტებული და ჩაშლილი იყოს. სასურველია უცხოური ენის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების იდეები და პირობები მშობლიურ ენაზე იყოს წარმოდგენილი.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტის მახასიათებლები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემატური

	ბლოკები, საორიენტაციო თემები, თემებში საკითხების საფუძველზე შუალედური მიზნის საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: **თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები**, ძირითადი და დამხმარე **რესურსები.** ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **რჩევა:** (დაწყებითი) სასურველია, IV კლასების კურიკულუმში მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა **რჩევა:** (დაწყებითი) სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით გადაიხედოს IV კლასის კურიკულუმზე. კერძოდ, IV კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები. ასევე, „მონაცემი, მონაცემთა ანალიზის“ შესაბამისი საკითხები დაკლასტერდეს ცალკე და შესაბამისად, დაკორექტირდეს სამიზნე ცნება/ქვეცნებების სვეტი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები პრაქტიკული და თეორიული მიმართულებით საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სამომავლოდ სასურველი იქნება **საბაზო საფეხურის** კლასების კურიკულუმში (მე-7 და მე-9 კლასები) შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის არსებული საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სასწავლო რესურსები მოიცავს: გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას,ვიზუალურ მასალას (პოსტერი, სქემა, მოდელი) ციფრულ რესურსებსა და სიმულაციებს. მიუხედავად სპეციალიზებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არარსებობისა, პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფილია უსაფრთხო და მარტივი სადემონსტრაციო ცდების საშუალებით საკლასო სივრცეში. **რჩევა:** თემის სიღრმისეული შესწავლისა და მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი სასწავლო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა, რაც ხელს შუწყობს მოსწავლეა ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი არის, როგორც ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოს სახით, ასევე ინტერნეტ რესურსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლისა და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იყენებენ აქტიურად ბეჭდურ რესურსებთან ერთად ციფრულ რესურსს, რაც კურიკულუმშიც ასახულია, შესაბამისად კურიკულუმში მოცემული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია დასავლური ლიტერატურის კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი; სასურველია, მე - 5, მე - 9 , მე - 11 და მე- 12 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე პედაგოგების მიერ შექმნილი დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. კათედრა მრავალად წარმოადგენს არაფორმალური მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას და მოსწავლეთათვის შექმნილ რესურსებს. სკოლამ ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა რესურსების ბაზა. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი, დამხმარე სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული

	სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები...). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით: მათი ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. პედაგოგები სასწავლო პროცესში ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის, დამხმარე ინტერნეტ რესურსად კი მასალას სხვადსხვა საიტებიდან ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ და პრეზენტაციებს სხვადსხვა თემაზე. არსებული რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეების გაყვანას სასწავლო კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა ინდივიდუალური

	სასწავლო გეგმების შემუშავების და განხორციელების გზით. აღნიშნული გეგმები ეფუძნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და განსაზღვრავს შესაბამის მიზნებს. **რჩევა:**სასურველია სწავლების პროცესში უფრო სისტემურად იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი სტრატეგიები, როგორიცაა დავალების მოდიფიცირება, სწავლების ტემპის და სირთულის დონის მორგება, შეფასების ალტერნატიული ფორმები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სსსმ მოსწავლეთა, არამედ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებასა და სწავლების შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გამოჩნდა თუ რამდენად შეუძლია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლა აქცენტირდეს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალიწნებით შეუძლია შეცვალონ შუალედური მიზნები და მოახდინონ შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირება, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინტერვიუს დროს ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათი მთავარი მიზანი ყველა მოსწავლის მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაა, ამას კი სხვადასხვა აქტივობების, მოდიფიცირებული რესურსებით და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით ახდენენ. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდ.გეგმის ნიმუშები, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს. პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სამიევ საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **მტკიცებულებები**:
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/ დიფერენცირებული. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს შესაბამის რესურსებს, სკოლას აქვს მოსწავლის შესაძლებლობებზე გათვლილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც ხელს უწყობს სკოლაში დიფერენცირებას და ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების შესაძლებლობას მასში

	გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი.**ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** ***<u>რჩევა:</u>*** სასურველია, კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა. გარდა ამისა, სკოლას აქვს წარმოდგენილი სახელმწიფო ენაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი პრაქტიკა და მზაობა გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედარებით მცირე რაოდენობა ხელს უწყობს თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალური ყურადღების გამახვილებას და მრავალფეროვანი, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გამოყენებას. სასწავლო პროცესში სისტემატურად გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე, ფორმატი და მოცულობა ადაპტირებულია სხვადასხვა აკადემიური დონისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიან ჩართულობასა და პროგრესს. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითდაჯერებულობის ზრდას, მოტივაციასა და ინდივიდუალურ განვითარებას. ინტერვიუებისას ასევე დადასტურდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რომლებითაც ხელმძღვანელობენ მასწავლებლები. საჭიროებისამებრ ხორციელდება დავალებების მოდიფიცირება და უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეების აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

	გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს STEM კლუბი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად ჩაერთონ დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებში, განივითარონ პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმიდან ჩანს და პედაგოგებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, დიდ ყურადღებას უთმობენ ჭადრაკში მეცადინეობას და აქვთ მიღწევებიც რეგიონის დონეზე. სკოლის სსსმ მოსწავლეები კი, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსურ განვითარებაზე. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ობიექტურობას, სანდოობასა და ვალიდურურობას. გამოყენებული შეფასების მეთოდები, როგორიცაა: განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასება,ურთიერთშეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, სადიაკნოსტიკო შეფასება და სხვა შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ეფექტიან მონიტორინგს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონს და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	გასაუბრება, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბმისად, . მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო

	გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ დავალებებზე, შეფასების სისტემა მასწავლებლებს ეხმარება გაანალიზონ, კრიტერიუმთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართავენ დიაგნოსტიკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** ***<u>რჩევა:</u>*** სასურველია ● შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას; ● შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული; ● შემაჯამებლის დავალებები/ ტესტები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებაზე (მოთხრობის გაგრძელება ვაჟა ფშაველას მოთხრობის ,,შვლის ნუკრის ნაამბობის“ მიხედვით; ლომის წერილი თაგვს (იგავ-არაკის ,,ლომი და თაგვი” საფუძველზე)) მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს - მე-6 კლასი; მე-3 კლასი; **განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - ანალიტიკური კომენტარი ერთი სტროფის შესახებ (საბაზო საფეხური);** ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაშია სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დებატების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ესეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა; ლიტერატურული თხზულების განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ ს მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლის ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის ნამუშევრით;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- პროექტების გეგმა/ნიმუში (ინგლისურ ენა);
- *კათედრაზე დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი (მშობლიური ენა და ლიტერატურა);*
- *ესთეტიკის კათედრის შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზები;*
- *ესთეტიკის კათედრის საგნის მასწავლებლის ანგარიში;*
- *ესთეტიკის კათედრის ღია/ინტეგრირებული გაკვეთილის დოკუმენტაცია;*
- *ესთეტიკური კათრდრის დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები;*
- *ესთეტიკური არზრდა პროექტული სწავლის, არჩევითი საგნის კურიკულუმი;*
- *არჩევითი საგნის - დასავლური ლიტერატურა კურიკულუმი;*

- *stem პროექტი;*
- *რემედიაციის დებულება.*

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგეილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ავღნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სწავლების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი პედაგოგიური სტრატეგიები, მათ შორის კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქვთ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გარკვეული მოდიფიცირების საჭიროებას ყოველთვის მოითხოვს და ხშირად ახორციელებენ კურიკულუმის გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას, რასაც შემდეგ უკვე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში ასახავენ. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური,რუსული, დასავლური ლიტერატურა მე - 11 კლ) სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. დასავლური ლიტერატურის შემთხვევაში კი ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგეების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. და აქ განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ-შესაბამისად. გარდა ამისა მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები, დავალების ფორმატები და შეფასების სისტემა უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისაობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის (მოსწავლის ნამუშევრებით, პროექტებით და ფოტო მასალებით), სადაც ასახულია შემოქმედებითი დავალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და ანალიზი. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი

	წინააღმდეგობებისა და მიღწევების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასურველია, სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესის წასახალისებისა და მოსწავლეთა ფიზიკურ აქტივობებში მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (როგორიცაა შიდასასკოლო ფესტივალები), სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლების მხარდაჭერით, აქტიურად

	მონაწილეობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში და აქვთ საკმაო წარმატებებიც. მაგალითად, სკოლის გოგონათა გუნდი - ფრენბურთში და ვაჟების გუნდი 3 X 3 კალათბურთში, გახდნენ რეგიონის ჩემპიონები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სასწავლო პროცესის განხორციელებისას სკოლა ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, აღნიშნული პრინციპი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის კოორდინაციას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაგეგმილი აქტივობების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შეესაბამება მოქმედ ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტს და ეფუძნება გამჭვირვალე,ობიექტურ და თანმიმდევრულ პროცედურებს.შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები და კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზრვრული,რაც უზრუნველყოფს შედეგების სიზუსტეს და სანდოობას.სკოლა ასევე უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას,მოსწავლეთა ინფორმირებით,ასევე უკუკავშირის ეფექტური მექანიზმების გამოყენებით,რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

	„ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია"
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში, რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ისინი გასულ წლებში აქტიურად იყენებდნენ თავიანთ მიერ შედგენილ შემაჯამებელი ანალიზის ფორმას, სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა, ქულათა სისტემა და სიტყვიერი კომენტარები. გააზიარეს რომ ახლა არიან ახალი შემაჯამებელი ანალიზის ფორმის შემუშავების პროცესში, აღსანიშნავია ასევე პედაგოგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის საშუალებთაც ხდება პედაგოგთა სამუშაოს/პრაქტიკის გაზიარება. ურთიერთშეფასება. აქვთ ასევე დაგეგმილი ვერიფიკაციის პროცესიც და მზად არიან განახორციელონ სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.3.1.3 აკმაყოფილებს სამივე საფეხური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია, კრიტერიუმები ცნებათა ინდიკატორებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება, ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი

	შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასება. მასწავლებლები თვლიან რომ ისევ განვითარების პროცესში არიან, აფასებენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და სისტემის გაუმჯობესებისთვის დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რაც ასახულია კათედრის ოქმებშიც. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განსმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. მოსწავლეს აფასებს საგნის თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ყოველივე ეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობის კონტროლს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების ამსახველი ინფორმაცია ინახება როგორც მატერიალური სახით (მოსწავლეთა პირადი საქმეები), ასევე ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი).

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მასწავლებლების თვითშეფასება;*
- *დიაგნოსტირების ინსტრუმენტი;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;*
- *მოსწავლის თვითშეფასება;*
- *შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა.*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოიყენება,როგორცძირითადი ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებთან.ძირითადი სასწავლო რესურსები ხელს უწყობს საგნობრივი სტანდარტების მიღწევას,ხოლო დამხმარე რესურსები ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას,ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას,უზრუნველყოფს სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებას.რესურსები მიზნობრივია და ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ შესაძლებლობებს. **რჩევა:** სასურველია კათედრამ მოახდინოს სასწავლო რესურსების პერიოდული განახლება და მათი დიფერენცირებული გამოყენება, ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას რათა მოხდეს რესურსების ეფექტიანი ინტეგრირება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, ძირითად რესურსად წარმოედგენილი არის სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით რესურსად ინტერნეტ რესურსები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების/დასავლური ლიტერატურის სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ენების სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ ენის განვითარების კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება ონლაინ რესურსებიც, რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. დასავლური ლიტერატურის სწავლების შემთხვევაში კი ჩანაწერები, ბეჭდური ლიტერატურა, სპექტაკლები. შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს (ფილმებს, სპექტაკლების ჩანაწერებს), ტელე სკოლის გაკვეთილებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრა სკოლის ადმინისტრაციას აცნობს თავის საჭიროებებს რესურსებთან მიმართებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რომლებიც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები (ხშირად იყენებენ შიდასაგნობრივი შეჯიბრებების ჩასატარებლად და საგაკვეთილო პროცესის ინტერაქტიულობის გაზრდისათვის) და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის რესურსების ნაწილი მოწმობს და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგადაც გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: მატერიალურ რესურსს - არსებულ ინფრასტრუქტურასა და სპორტულ ინვენტარს; ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ სასწავლო წიგნებს - გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის და გზამკვლევი სპორტის სახეობების მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურზე ; დამხმარე რესურსებად იყენებენ ელექტრონულ მასალას სხვადასხვა საიტებიდან, ასევე პრეზენტაციებს თემებზე თეორიული მიმართულებით, ვიდეორგოლებს სპორტის სხვადსხვა სახეობის შესახებ

	პრაქტიკული მიმართულებით, მასალას ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების შესახებ. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების შერჩევა და დამტკიცება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრი თავისებურებებთან, საგნობრივ სტანდარტებთან და სასწავლო მიზნებთან. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. **„ინდიკატორი სამივე საფეხირზე დაკმაყოფილებულია"**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემურ ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხირზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** **რჩევა:** სასურველია, კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული დამხმარე რესურსების ნუსხა, ჩანდეს როგორ ხდება სასწავლო რესურსების გაზიარება კათედრის წევრებს

	შორის, როგორ ხდება რესურსების შეფასება გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ და ხდება თუ არა რესურსების მოდიფიცირება საჭიორებისამებრ.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა თემა: „გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა". სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინვენტარი ,,აინშტაინის ლაბორატორიის'' მიერ მიწოდებული რესურსები, STEM კომპლექტი (ფოტორეზისტორი, ამპერმეტრი, ვოლტმეტრი), ლაბორატორიული ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები მარტივი უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩასატარებლად, ვიზუალური მასალა სქემებისა და პლაკატების სახით. **რჩევა:** სასურველია მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა და გამდიდრება დამატებითი ინვენტარით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილეულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენებისა და დასავლური ლიტერატურის სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები); ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სამივე საფეხურზე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა რაოდენობის, სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობების, ასევე ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლაში წარმოდგენილი რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებით ან და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურობას. პედაგოგების მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები მათ შორის ინტერაქტიული, შემოქმედებითი და არაფორმალური განათლების კომპონენტები ხელს უწყობს მოსწავლეთა: ენობრივი უნარების განვითარებას, კომუნიკაციური კომპეტენციების გაუმჯობესებას, კულტურული ცნობიერების გაფართოებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე, დამატებითი სახელმძღვანელოები მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც ადეკვატურად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამასთან, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ეფექტიან

	ორგანიზებას, რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, თითოეულ მოსწავლეს დაუთმოს სათანადო ყურადღება და ხელი შეუწყონ სასწავლო შედეგების სრულფასოვან მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული იკვეთება სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც, მათ შორის ადასტურებს საგნის მასწავლებელიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ფლობენ შესაბამის საგნობრივ განათლებასა და პროფესიულ სტატუსს, რაც დასტურდება მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კათედრების მიხედვით. თითოეულ საგანს ასწავლის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგი.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *2025 წლის ინვენტარიზაციის ოქმი.*

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად მნიშვნელოვანი როლი აქვს საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესის პერიოდულ ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას.მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლაში ამ ეტაპზე არ იყენებენ დიაგნოსტიკურ წერებს შეფასების მიზნით, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა მისი დანერგვის გეგმები.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისთვის.

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა კათედრების ფარგლებში განხილული შედეგებისა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების საფუძველს ქმნის, თუმცა არ არის დანერგილი და ფორმალიზებული ერთიანი შიდა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სისტემურ დაკვირვებასა და შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის ხელშეწყობისთვის, იგულისხმება რემედიაცია თუ ინდივიდუალური მიდგომები, ასევე, მასწავლებელთა პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. მასწავლებლები ხშირად აკვირდებიან მოსწავლეებს, განსაზღვრავენ მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სასწავლო პროცესის ადაპტაცია.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *თვითშეფასების რეფლექსია-სვოტი;*
- *ურთიერთშეფასება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, პრინციპები);*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები და საქმიანობა;*
- *მოსწავლეთა შეფასების, აღდგენისა და რემედიაციის წესები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.შეფასების მონაცემები აისახება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენებას მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისას

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა კონტექსტში. გათვალისწინებულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სასწავლო გარემო, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ჩართულობა, საჭიროებები.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი, როგორიცაა დაკვირვება, ზეპირი და წერითი დავალებები, შემოქმედებითი დავალებები და მიმდინარე შეფასება. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას. თუმცა სადიაგნოსტიკო წერას ამ ეტაპზე სკოლა არ იყენებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მომავალი წლიდან დაგეგმავენ და განახორციელებენ აღნიშნულ აქტივობას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრესი, ჩართულობა, მიღწევები. ასევე გამოიყენება რემედიაციისა და ინდივიდუალური მიდგომების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. თუმცა აღნიშნულ აქტივობებში ნაკლებად დასტურდება შეფასების პროცესში მონაცემთა სისტემური ანალიზის გამოყენება კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები*
- *მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტაცია*
- *რემედიაციის/ინდივიდუალური მუშაობის ამსახველი მასალები*

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის და პედაგოგებთან გასაუბრების თანახმად, კათედრების შეხვედრებზე იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში გამოკვეთილი ძლიერი მხარეები თუ არსებული სირთულეები. განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება კურიკულუმის განვითარების საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტის სისტემური სახით არსებობა.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი: 13.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ნ. ბასილია/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფიო გაგოშიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ლარისა ჯაფარიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო თავაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინო გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი